935

ოქტომბრელი

№

19 · სახელგამი · 35

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

№ 3

მარტი 1935 წ.

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და საქ. განსახკომის ერთთვიური ჟურნალი

მისამართი: კიროვის ქ. № 7

შინაარსი

1. მხიარული მეგობრები (ლექსი) — გიორგი კაჭახიძის 1
2. მუშების სიმღერა (ლექსი) — სიო ხიდისთაველის 1
3. მურიკას მარცხი — ცქვიტის 2
4. კრებაზე (ლექსი) — ვალია კუპრაძის 3
5. აკაკი წერეთელი — ტატიანასი 3
6. ჩემი თხა (ლექსი) — აკაკის 5
7. აკაკის ნაკვესები 6
8. აკაკის ბავშვობის შაირები 7
9. ნეტავ მეც მენახა — ლავრ. ჭიჭინაძის 8
10. ცუცას ძაღლი (ლექსი) — მიმქრალის 9
11. ყანჩების ოჯახი — ბორის ჩხეიძის 9
12. ჩვენი ყურშა (ლექსი) — ნ. შველიძის 11
13. დიდგულა ვატმანი — ნინო ტყეშელაშვილის 11
14. გაგვიზაფხულდა — გიორგი კალანდაძის 13
15. უცხო სტუმრები — ია. ჩხაიძის 15
16. გორგონტინა გოგონა — გადმ. რუსულიდან ლ. მეტრეველის მიერ 18

ბავშვთა შემოქმედება

17. მიტოს სიზმარი — ლ. თაბუკაშვილის 19
18. რიონის ბედი — ბოჩ. მელიქიანი 20
19. გლეხის სიმღერა — ოთარ კანდელაკის 20
20. რედაქციის შენიშვნები პატარა ავტორების საყურადღებოდ 20

გასართობები

21. მცურავი გედი და კურდღელი 21
22. ყურები ფეხებზე — თამარ ჩერქეზიშვილის 22
23. ბუნგლიას ოინი — კ. დევდარიანის 22
24. რა ფრინველია? — ალ. საჩინოელის 23
25. სათამაშო გემი 23
26. კარგი წეროებია — შ. თ. 24
27. კვადრატები — კლ. თევზაძის 24

ჟურნალის მხატვრობა ეკუთვნის ა. გიგოლაშვილს

ყდა — ბ. კახიძეს

მთ. № 2104, შეკვ. № 241 ტ. 21.000. პ სკოლის სტამბა, წერეთლის ქ. № 3/5

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხიარული მეგობრები

მე თქვენ გიცნობთ, კარგად გიცნობთ,
ვიცი თქვენი ფიქრი, ენა...
მეც მქონია თქვენი გული,
მეც ვყოფილვარ თქვენოდენა.
სადაც გხედავთ, კარგები ხართ,
მხიარულობთ ყველგან, მუდამ...
იცით ფხიზლად წიგნის გაშლა
და თამაში როგორ უნდა.
მიყვარს პოეტს ენა თქვენი,
მოზარდისთვის ყურისგდება,
რომ გიყურებთ, ჩემი დღენი
და ბავშვობა მაგონდება.
მეც ვიცოდი რბენა, ხტომა,
შევცინოდი ბალს თუ ჭერამს.
მახარებდა მინდვრად გასვლა,
მდინარე და თევზის ჭერა.
ტყე მიყვარდა და წისქვილთან
ტირიფების მწვანე რიგი,
ალამოთი ჩუმი სიო,
მზის ჩასვლა და ზღაპრის წიგნი.
მიყვარს ის დრო უდარდელი,
ბავშვობაზე მიყვარს წერა,
და შევცინი ახლაც ხშირად
თქვენი თვალით ბალს თუ ჭერამს.
ჩვენ ახლო ვართ ერთმანეთთან,
არ გვაერთებს გზები ვიწრო;
ჩემს მხიარულ მეგობრებად
და ლექსების ხალხად გიცნობთ.

გიორგი კაჭახიძე

1754

მუშების სიმღერა

ერთმანეთთან გვაკავშირებს
მუშებს გრძნობა ძმობის,
ქვეყნის საქმე, მიზანი და
ხმა მომავალ ბრძოლის.

გაშლილი გვაქვს დამკვრელობა
ჩვენ ბრიგადებს შორის...
ვართ მზესავით მხურვალე და
შუქის წარმომშობი.

ქვეყნის დოვლათს ზრდის ყოველდღე
ჩვენი წმინდა ოფლი,
და ცხოვრებაც წინ მიიწევს
ქალაქის და სოფლის...

სიო ხიდისთაველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურიკას მარცხი

არც კი რცხვენია მურიკას! წუხელი თურმე ისე მოტყუვდა, რომ მთელი უბანი იმაზე ხარხარებდა.

გუშინ შაქრო მთელი დღით გალმა უბანში ქვისლთან სტუმრად წასულიყო და მურიკაც თან წაჰყოლოდა.

მშვენიერი წყნარი ამინდი იდგა, და თოვლი ისე სქლად ბარდნიდა, რომ ერთი საათის განმავლობაში ორ მტკაველზე დადო.

მთელი უბნის ბავშვები მთლად გარეთ გამოიშალნენ, ჯერ გუნდაობით მოიქანცნენ, მერე ციგებით ურწავას აღმართისაკენ გაეშურენ და იქაც ციგაობით გული რომ იჯერეს, პაპაანთ დიდი ბოსლის უკან ისეთი დიდცხვირა თოვლის კაცი გააკეთეს, რომ სიცილით იხოცებოდენ. თოვლის კაცს, მათეს, ძველი მაზარა წამოასხეს, თავზე ძირშენგრეული ქოთანი ჩამოამხეს, პირში გოდერძაანთ დემეტრას ჩიბუხი გაუკეთეს და სიხარულით ტაში შემოკრეს.

— დაჭყეტილი თვალებით და ამ ჩიბუხით მართლა გოდერძაანთ დემეტრასა ჰგავსო!— სიცილით ამბობდენ ბავშვები.

კარგა შეღამებულიყო, როცა შაქრო და მურიკა შინ დაბრუნდენ. ჩვეულებისამებრ, ძაღლი შაქროს გარეთ უცდიდა. იქვე დირესთან მიწოლილი მურიკა ჭუჭრუტანიდან გემრიელი ღორის ხორცის სუნს ყნოსავდა, თან კისერს გადააგდ-გადმოაგდებდა და ჯამჭურჭელის წკრიალზე მოუთმენლად წკმუტუნებდა.

— ჰაზგამ, შე სამგლე, შენ! მოთმინება ველარ გეყო?— გამოსძახა შიგნიდან მაგდამ, მიყრუებულ ბინდ-ბუნდში კარები დააჭრიალა და ნახევარი კუტი ძვლებთან ერთად მურიკას წინ დაუყარა.

ხარბად ეძგერა მურიკა. ჯერ კუტი გადასანსლა, მერე ძვლებს აუტეხა ლაწალუწი. გაძღა მურიკა. ახლა მთელ უბანს საყარაულოდ დაურბინა. ჯერ შაქროს სახლს შემოურბინა, შემდეგ პაპაანთ ბოსლის უკან გაცუნცულდა და აქ ისეთი ყეფა ატეხა, რომ გეგონებოდათ მოსისხლე მტერს შეეყარაო. მაგრამ ეს გააფთრებული ყეფა დიდხანს არ გაგრძელებულა.

ცოტა ხნის შემდეგ მურიკა სრულიად დამშვიდებული ისევ შაქროს აივანზე

ამობრძანდა და თავის ჭილობზე რგვლად რომ მოიკუნტა, დილამდის ხმა აღარ ამოუღია.

— ერთი შეხე, იმ ვერანას რა უქნია და! — ასე ლაპარაკობდენ მეორე დღეს ბავშვები.

— ალბათ, ბიჭო, იმდღევანდელი ქურდი ეგონა და ასე გამწარებით იმიტომ მივარდნია.

— ფარაჯის კალთას შეხედეთ, რანაირად დაუფლეთია!

— არა, თავი როგორღა მოაგდებინა, თორემ სხვას ვინ კითხულობს!

— როგორა, ბიჭო, და ფარაჯა რომ წამოუთრევია, საყელო თავს მოეგდებოდა და თოვლის კაცი იყო, რკინისა ხომ არა!

— კაცო, იცი, რა ოხერი ძაღლია!

დღეს შაქროს, თურმე, ზედაც არ უცქერის, თითქოს რცხვენიანო. ხარხარებდენ გოგობიჭები და მურიკას ჯიბრზე უფრო დიდცხვირა თოვლის პაპას აკეთებდენ.

ცქვიტი

კრებაზე

ეთაზე ნისლი წამოაწვა,
ალბათ მალე თოვლიც მოვა...
ეხ! რა მალე აცივდა და
ეხ, რა მალე ჩამოთოვა!

დაგვიზამთრდა, წვიმა მოდის
და ტირილი ისმის ქარის,
პიონერი კი კრებაზე
მოხსენებით მიიჩქარის.

დაგვიზამთრდა, ძველი ბინა
მოუნახავთ ტიალ ბუზებს,
ყველა ბუხარს მისხდომია
მხიარულს და მოგუზგუზეს.

იქ, კრებაზე, ხმაურია,
მათ არ ართობთ დარი ცივი,
მაგრამ იქაც მობუზულან
შეშინებულ ჩიტებივით.

მხოლოდ ერთი ადის სკამზე
ისე სწრაფად, ისე სხარტად,
ხელებს აქნევს, ენამჭრელობს
ჩვენი ყოფის დასახატად.

ამბობს, წინათ თუ რა ცრემლი
იღვრებოდა მშრომელთ ბედზე,
დღეს კი მხსნელი დროშა ელავს
მთელ მსოფლიოს მეექვსედზე...

ვალია კუპრაძე

აკაკი წერეთელი

წელს თებერვალში ჩატარდა აკაკი წერეთლის გადარცვალების ოცი წლის თავის აღსანიშნავი დღეები. ამ დღეებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა მშრომელებში.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აკაკის ხსოვნის საპატივისცემლოდ მოეწყო საღამოები. კერძოდ ტფილისში რამდენიმე საღამო ჩატარდა. საღამოზე

იკითხებოდა მოხსენებები პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ზოგი კიდევ პირადი მოგონებით გამოდიოდა და ნათელი სურათებით უხატავდა საზოგადოებას აკაკის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მოხსენებების და სიტყვების შემდეგ მომღერლები და მუსიკოსები აკაკის სხვადასხვა ლექსებიდან ასრულებდენ სიმღერებს. საღამოს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ამ დასწრებით ეს ხალხი გამოხატავდა აკაკისადმი ღრმა პატივცემასა და სიყვარულს. მართლაც, აკაკი წერეთელი დიდად საპატივისმცემლო და საყვარელი პოეტია. სიცოცხლეში იგი მშრომელ ხალხს უყვარდა და სიკვდილის შემდეგაც მშრომელი ხალხის საყვარელ პოეტად დარჩა. არიან მწერლები, რომლებსაც არა თუ სიკვდილის შემდეგ, სიცოცხლეშიაც მალე ივიწყებენ; აკაკი წერეთელი კი დაუვიწყარია. რატომ ასეთი ბედნიერება ხვდა წილად აკაკის?! ამისი მიზეზი თვით პოეტის დიდ შემოქმედებაშია. აკაკი თავის ნაწერებში ეხებოდა ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც ხალხს აღელვებდა, აწუხებდა ან სიამოვნებას ჰგვრიდა. პოეტი თავადაზნაურთა წრიდან იყო გამოსული და მწერლობაში უმთავრესად ამ წრის ინტერესებს გამოხატავდა, მაგრამ გზადაგზა მშრომელთა მტკივნეულ ადგილებსაც ეხებოდა. აკაკის მშრომელთა ცხოვრებიდან ბევრი საინტერესო ლექსი აქვს დაწერილი და ბევრჯერ მშრომელთა მწუხარებაც გაუნაწილებია. წერდა სადა, უბრალო, მაგრამ დიდად მხატვრული ენით, ყველასათვის გასაგები ენით.

„ყანაო, მუშის სამოთხე,
გლეხის დიდებავ, ყანაო!
ცისკრის სხივებმა შეგმოსეს
და ნამმა გადაგბანაო;
დილის ნიავმა დაგქროლა,
ალერსით გითხრა ნანაო;
ეუეუნა წვიმამ ზედ დაგკრა,
ზურმუხტად აგამწვანაო.“

ეს ენა აკაკის პოეზიის ენაა და იგი ყველას ესმოდა და ყველას ატკბობდა. აკაკი მრავალფეროვანი მწერალი იყო. იგი წერდა ლირიკულ ლექსებს, ისტორიულ პოემებს, დრამებსა და მოთხრობებს; მაგრამ ეს საკითხი აღემატება საბავშვო ჟურნალის ფარგლებს. კერძოდ ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა აღვნიშნოთ აკაკი როგორც ბავშვების მწერალი. ამ მხრივ მას საკმაოდ ბევრი აქვს დაწერილი. როგორც ცნობილია, აკაკის ბავშვები უყვარდა. პოეტი ხშირად ბავშვებში იღებდა სურათს. მაგრამ აკაკიმ თავისი სიყვარული ბავშვებისადმი თავისი შემოქმედებით დაამტკიცა. მოზარდ თაობას პოეტმა ბევრი კარგი ლამაზი ლექსი მიუძღვნა. იყო საბავშვო მწერლობის დიდი მოამაგე და საბავშვო ჟურნალებში ნაყოფიერად თანამშრომლობდა. „ნობათი“, შემდეგ „ჯეჯილი“ და „ნაკადული“ აკაკის საყვარელი ჟურნალები იყო. ამ ჟურნალებში დაბეჭდილი აკაკის ლექსები ბავშვებმა მიიღეს, შეითვისეს, შეიყვარეს, და აკაკიც ბავშვების საყვარელი პოეტი გახდა. აკაკის საბავშვო ლექსების დიდი ნაწილი მშრომელ გლეხთა შვილებს ეხება, იძლევა გლეხი ბავშვების მწუხარებასა და სიხარულს. აი, მაგალითად, როგორ ალაპარაკებს პოეტი ობოლს:

„დედის ტკბილი რძის ჭირიმე!
ძუძუებს ვენაცვალები!!
ვინც მათი გემო არ იცის,
ახვეული აქვს თვალები“.
ან კიდევ:
„დედის რძე თაფლი ყოფილა
და დედინაცვლის — ნაღველა:
დავლიე — ყელზე დამადგა,
ძირმწარედ წამომახველა!“

თავის დროზე თითქმის ყველამ იცოდა და დღესაც ბევრმა იცის აკაკის ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“. ეს ნაწარმოები თავისი სისადავით, სიმსუბუქით და ღირსებით ერთერთ საუკეთესო ლექსს წარმოადგენს მცირეწლოვან ბავშვთა პოეზიაში. არა ნაკლები ღირსებისაა მეორე ლექსი „ჩემი თხა“. ამ ნაწარმოებში მოცემულია მეწველ თხასთან ღარიბი გლეხის ოჯახის დამოკიდებულება.

„ჩემო ლამაზო ბეკეკა,
შენ, ჩემო თხაო ბელაო,
ჩემი მტერი და ორგული
შენ გენაცვალოს ყველაო“.

ლარიბ გლეხს უყვარს მეწველი თხა
და მიმართავს:



„თვალის ჩინივით მოგივლი,
ნუ გეშინია მტერისო!
მაგ ძუძუების ჭირიმე:
საწველში ჩაიმღერისო!“

აკაკის ძველ სკოლაში უხდებოდა აღზრდა. ამ სკოლაში მომავალ პოეტს ბევრი უსიამოვნება შეხვედრია როგორც ჩინოვნიკ მასწავლებლებისაგან, ისე სკოლის მიერ ზნეობრივად დაცემულ მოწაფეებისაგან. ძველ სკოლაში სწავლა ვერ იდგა კარგ ნიადაგზე. ყველაფერი ეს და ბევრი სხვა საინტერესო ცნობები აკაკის მშვენიერი მხატვრული ენით აქვს აღწერილი თავის სათავგადასავალო მოთხრობაში, რომელსაც „ჩემი თავგადასავალი“ ეწოდება. ეს ნაწარმოები დიდი ინტერესით იკითხებოდა და ახლაც დიდი ინტერესით იკითხება.

აკაკიმ 75 წელიწადს იცოცხლა. თავისი საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე პოეტმა ცხოვრებიდან დიდი გამოცდილება მიიღო. ეს გამოცდილება მწერალს ხშირად მოცემული აქვს თავის ნაწერებში. მოხუცებაში ყოფნის დროს ჭაღარა პოეტს უყვარდა ბავშვებისათვის დარიგების მიცემა. ამ დარიგებებიდან დღეს ბევრი მოძველებულია და მიუღებელი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათში დიდი პოეტის ჭკუა და აზრია მოცემული და ამდენად ანგარიშის გასაწევია. აკაკიმ ძალიან ბევრი ნაწარმოები დატოვა, როგორც საერთოდ ქართულ ლიტერატურაში, ისე, კერძოდ, ქართულ საბავშვო მწერლობაშიც. აკაკის ნაწერებიდან ბევრის სწავლა შეიძლება. ამისათვის საჭიროა ფხიზელი თვალი და ფხიზელი გონება.

ტატიანა

ჩემი თხა

ჩემო ლამაზო ბეკეკა,
შენ ჩემო თხაო, ბელაო!
ჩემი მტერი და ორგული
შენ გენაცვალოს ყველაო.

წვერი გაქვს დეკანოზისა
და რქები ეშმაკისაო;
კბილები, ნამგლად ნალესი,
ნეკერს კვრეხს, ბალახს მკისაო.

მთაში რომ წაკოკინდები,
დააგდებ მინდორ-ველსაო;
ჯიხვებს ეწვევი კლდეებში,
იქ მოიღერებ ყელსაო.

გაძღები, გასისინდები
ჯიქანს გაივსებ რძითაო!
რა გზითაც დილას წასულხარ,
ბრუნდები იმავ გზითაო.

მოხვალ და საწველს ამივსებ,
არ დამამადლი წველასო!
მეძღვნეო ჩემი შვილების,
შენ მირჩევნიხარ ყველასო!

თვალის ჩინივით მოგივლი,
ნუ გეშინია მტერისო!

მაგ ძუძუების ჭირიმე,
საწველში ჩაიმღერისო!

ბეკეკავ! ჩემო ბეკეკა!
შენ ჩემო კარგო ბელაო!
ჩემი ოჯახის ურგები
შენ გენაცვალოს ყველაო!

აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის ნაკვესები

აკაკი წერეთელი ნაკვესების, ანუ მოსწრებული სიტყვების საუკეთესო მთქმელი იყო. თავისი ნაკვესებით პოეტი დასცინოდა მისი დროის ადამიანების უარყოფით ძხარეებს. ამ შემთხვევაში აკაკი დაუზოგავი და მოურიდებელი იყო. პოეტი თავისი მოსწრებული სიტყვებით გესლავდა ყველას, ვინც კი მის წინაშე ან საზოგადოებაში რაიმე უხეიროობას ჩაიდენდა. აკაკის ნაკვესები უბრალო, ჩვეულებრივი დაცინვები კი არ ყოფილა, რომლებსაც, თითქმის, ყოველდღე ყოველ ნაბიჯზე შეხვდება კაცი, არამედ პოეტის ნაკვესები ძალიან ჭკვიანად მოფიქრებული და ცხოველი აზრების მატარებელი იყო. ეს ნაკვესები ხალხში ფართოდ ვრცელდებოდა. ბევრმა წერა-კითხვის უცოდინარმა ზეპირად იცოდა აკაკის ესა თუ ის ნაკვესი. ამ ნაკვესებს თავისი დანიშნულება ჰქონდა: ისინი ბევრ უწესო ადამიანს წესიერ მოქმედებას აჩვევდა. ბევრჯერ ჭკვიანური დაცინვა კარგ დარიგებაზე მეტად ჭრის. ქვემოდ სანიმუშოდ მოგვყავს აკაკის რამდენიმე ნაკვესი.

აკაკის ბავშვობის სურათი

1

ერთმა პედაგოგმა, რომელიც პოეტობასაც ჩემობდა, ახლო სოფელში მიმავალ აკაკის ერთი კვიმატიანი ცხენი ათხოვა და თანაც ლექსების რვეულიც გაატანა: „თუ მოგეწყინოს, ამალამ ეს გადაიკითხეო“.

მეორე დღეს უკან დაბრუნებულ აკაკის ჰკითხა:

— ღამე როგორ გაატარეო?

— რა გითხრა, ძმაო? დღე შენმა ცხენმა დამტანჯა და ღამე კიდევ შენმა ლექსებმაო, — მიუგო აკაკიმ.

2

ერთი საზოგადო მოღვაწე პროვინციაში გარდაიცვალა. დამკრძალავმა კომიტეტმა გადაწყვიტა მისი ტფილისში დასაფლავება. დანიშნულ დროს სადგურზე შეიკრიბნენ განსვენებულის მეგობრები და პატივისმცემლები. აკაკიც დაესწრო. როცა კუბო მატარებლიდან გადმოჰქონ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუკას ძაღლი

მოდით, ნახეთ ჩემი მორა,
ქუდი კოხტად რომ ახურავს.
— გამარჯობა, კაცო, შენი!
ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ, როგორ ჰშვენის!

ახლა ხახეთ ეს ბაღათი,
ეს ფუთა და ეს კალათი,
როგორ მიაქვს ხეივანში
ავსებული კომშით, ვაშლით.

მთელი ხალხი უმზერს მურას,
ქუდი კოხტად რომ ახურავს.
— გამარჯობა, კაცო, შენი!
ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ, როგორ ჰშვენის.

მიმქრალი

ფითური ჭიანჭველები*)

მელია რომ თავიდან მოიცილეს, დედიკოსა და მამიკოს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ. წვიმიანი დღე იყო. დედიკო ყანჩა შვილებს ზევიდან გადაჰფარებოდა, ათბობდა და თანაც შხაპუნა წვიმის წვეთებს აცილებდა. პატარა ყანჩებს ბუდის ნაპირზე კისრები გადმოედოთ, ჭიოდენ და ქვევიდან დედის თბილ მკერდს ეკროდენ.

ამ დროს დედიკომ შენიშნა უცნაური მწერი. ბუდის საძირკვლის ტოტზე მოლოლავდა. მხარზე ვეება ჩხირი გაედო და წელშიწყვეტით მოათრევდა. მწერი ტყის წითელი ბუდრუგუნა ჭიანჭველა იყო. დედიკო კარგად დააკვირდა და შენიშნა, რომ იმ ჭიანჭველას უკან ჭიანჭველების უთვალავი ქარავანი მოსდევდა.

— ერიჰა! — წამოიყვირა დედიკომ. — ესენი ვინლა გაგვჩენია!

იმ წამსვე წამოხტა. ტოტზე ჩამოჯდა და დაუპატიჟებელ სტუმრებს მიაყვირა:

— წადით! ახლოს არ მოხვიდეთო!

მოწინავე ჭიანჭველა შეჩერდა. შიშით ჩხირი გააგდო და ბუდეს თვალიერება

*) დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ოქტომბრელი", № 1-2

დაუწყო. დედიკომ ნისკარტი მოუღერა და ალმასივით თვალები დაუბრიალა.

ასეთმა მკაცრმა მუქარამ მოწინავე ჭიანჭველა ისე დააფრთხო, რომ მოტრიალდა და ტოტს თავქვე დაჰყვა, თავისი ქარავანიც გაიყოლია.

დედიკო მაინც არ დამშვიდდა. ჭიანჭველებს თვალს ადევნებდა. ისინი ტოტიდან ხის ტანს დაჰყვნენ და ხისძირად ერთი პატარა ბექობისაკენ გაემართნენ. ამ დროს მამიკოც მოფრინდა. ახლა ორივენი ერთად ჩამოსხდენ ტოტზე, ერთად დაზვერეს არამკითხე მოყვრები. საინტერესო ამბავი აღმოჩნდა.

იმ ბუდრუგუნა წითელ ჭიანჭველებს ხის ფესვის სიმშრალეში აეგოთ სასახლე. სასახლეს ყოველმხრიდან გვირაბივით შესასვლელი კარები ჰქონდა დატანებული, საიდანაც ჭიანჭველები თავისუფლად დაბრძანდებოდენ შიგ.

თანაც გასაოცრად შრომობდენ.

ერთი ჩხირებს მიათრევდა, მეორე—ჩალის ფურცელს, მესამე—ყვავილის ბუტკოს ნაზ ფოთოლს, მეოთხე—სილას.

ერთი მოზრდილი ფრთიანი ჭიანჭველა კი სასახლის მაღალ ქიმზე ამაყად შემდგარიყო და არემარეს ზვერავდა.

ყანჩებმა შენიშნეს, რომ იმათი გამონატეხი კვერცხის ნაჭუჭები ჭიანჭველებს

შეეგროვებიათ და ერთ ალაგას დაეყარათ. ნაჭუჭების გროვა ცისფერ გვირაბოვან გორაკს წააგავდა. ნაჭუჭების მეორე მხარეს ჭიანჭველებს თევზის ფხები და ქარიყლაპიას ხერხივით კბილებიანი ყბები დაეგროვებიათ. აშკარად ეტყობოდა, რომ ჭიანჭველებს ამ საქმეზე დიდი შრომა და დავიდარაბა გაეწიათ.

ძვლები და ფხები ჯერ ერთად შეეკრიბათ, დაეწმინდათ, დაესუფთავებიათ და ისე დაეთეთრებიათ, როგორც ბამბის ქულა. დამწვეტილი და დახვეწილი ფხები ნემსებათაც ივარგებდა.

ყანჩებმა არც-კი იცოდენ, რად გასწიეს ჭიანჭველებმა ამოდენა შრომა და ამაგი. თუკი ამ მშვენიერ საგნებს სასახლეში დაალაგებდენ, ყანჩებს კიდევ არ გაუკვირდებოდათ, მაგრამ ეს დაწმენდილი და დასუფთავებული ძვლები ერთი ხმელი ფოთლის ქვეშ ეზვავა და ხმას არავინ სცემდა მათ.

ყანჩებმა კარგად შეისწავლეს ჭიანჭველების ცხოვრება, ყოველმხრივ აწონდაწონეს და საშიში არაფერი აღმოჩნდა.

ამიტომაც მეზობელს შეურიგდენ. ძირს, ველზე, ყანჩებს არაფერი ჰქონდათ გასაყოფი და სადაო. სამაგიეროდ მაღლა, ხეზე, ჭიანჭველებს არაფერი ესაქმებოდათ. ყანჩებს გული არ მოსდიოდათ იმაზე, რომ ჭიანჭველები მათი ნანადირევის მონარჩენით იკვებებოდენ და სარგებლობდენ.

დამეგობრდენ. ყანჩები თავიანთი პატარა ყანჩაველებით ბუდიდან დაჰყურებდენ მათ. სტკბებიან შრომისმოყვარე ჭიანჭველების ცქერით. ხანდახან ჭიანჭველებს მოცვლილ ფრთას ან ბუმბულს გადაუგდებენ, ხან თევზის ნაჭერსაც. ჭიანჭველები ხელად მიეხვევიან მონაკითხს და გადამუშავებას მიჰყოფენ ხელს.

კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა მათი მეგობრობა და კარგი მეზობლობა, რომ იმ არემარეში მათ სხვა, ცოტა არ იყოს უნამუსო სტუმრები არ სწვეოდათ.

ბორის ჩხეიძე

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ყურშა

ღარ თოვს და უფრო ცივა,
მთლად გაყინა არემარე,
ბროლის კაბა შეუკერავს
წუხელ ღამით ჩვენ მდინარეს.

დილით სახლში შემოვუშვი
და ძალიან უხარია,
ჯერ ლეკვია, რა ქნას, მისთვის
წელს პირველი ზამთარია.

და ფანჯრებიც ვიღაც სტუმარს
მოუქარგავს ვერცხლის ძაფით,
ჩანს, რომ ბევრი უშრომია,
დაიღალა, ალბათ, ჯაფით.

ძლიერ ცივა, ჩვენი ყურშა
ღამით ლამის გაიყინა,
და იმიტომ წკმუტუნებდა,
ვერ გაათბო თვისი ბინა.

რომ კვლავ გარეთ არ გავაგდოთ, —
ალარ ხტის და გახდა წყნარი,
თუმცა ფისოს შურით უცქერს,
რომ ის მუდამ თბილად არი.

არ მშორდება, ხელს მილოკავს,
თათი ფეხზე გადამადო,
რადგან მე ვარ მისთვის უფრო
მეგობარი სხვებზე სანდო.

ნ. შველიძე

ლიდგოლა ვატმანი

კარგ გუნებაზეა დღეს 5 წლის ზურა. მას რაღაც აზრი მოუვიდა, დაუძახა თავის ტოლებს, ტიტიკოს, კესოს, ნუცას და სამი წლის ლელიკოს.

— ამხანაგებო! — დიინჯშემოდგმულმა მიმართა ბავშვებს, — ჩვენ კარგი რამ უნდა ვითამაშოთ.

— რა ვითამაშოთ, რა? — შეეკითხენ ზურას ბავშვები.

— თქვენ თქვით რა ვითამაშოთ.

შენ ჩვენზე უფროსი ხარ...

— კარგი... — შეჩერდა ცოტახანს ზურა, მერე თვალები გაუბრწყინდა. იცით, ბავშვებო, ხომ ხედავთ ამ კიბეს — ეს იქნება ტრამვაი, მე — ვატმანი, ტიტიკო კონდუქტორი. აი მას ბილეთები. თქვენ იყიდით ბილეთებს მისგან, — ამ სიტყვით გადასცა დაჭრილი ქაღალდების ნაწილი ტიტიკოს, დანარჩენი ბავშვებს.

ზურა დადგა კიბის საფეხურზე.

— ამხანაგებო, ტრამვაი მიდის სადგურისაკენ, მგზავრები დასხედით.

— კონდუქტორ! უბილეთოდ არავინ შეუშვა! — აძლევს განკარგულებას ზურა. ბავშვები გაფაციცებით ყიდულობენ ბილეთებს და კიბის საფეხურზე სხდებიან.

— მგზავრები ყველანი დასხდენ? — ეკითხება ზურა ტიტიკოს.

— ყველა, — უპასუხა, ტიტიკომ, თან ზარი დარეკა (ბოთლს ლურსმანი შემოჰკრა).

— მაშ მივდივართ. ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ! — აძლევს ხმას ზურა. კონდუქტორი ზარს რეკავს. ტრამვაი ჩერდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



—ზემელთან ვართ, არავინ ჩამოდის?— კითხულობს ზურა.

— არავინ,—უპასუხა ტიტიკომ. კონდუქტორი ზარას რეკს—ტრამვაი მიდის: —ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ.

ზურამ ტიტიკო მოიხმო.

— მოიყვანე აქ პატარა ლელიკო, კიბესთან დააწვინე მიწაზე, ვითომ ტრამვაიმ გადაუარა და მოკლა; ყველას გეწყინებათ, ადგებით და მიხვალთ მასთან; მერმე საავადმყოფოში წავიყვანთ.

ტიტიკო ასეც მოიქცა. ბავშვმა წინააღმდეგობა არ გაუწია.

— აი როგორი ხართ! მოუბრუნდა ზურა მგზავრებს,—არ დამაცალა ამ ქალმა ტრამვაის გაჩერება. გადახტა და ტრამვაიმ გაიტანა.

— უი, რა დაემართა?—დაიძახეს ბავშვებმა და მივიდენ ლელიკოსთან. ლელიკოც წამოდგა.

— ეს რა ქენი? გაუჯავრდა ზურა— დაწექი, შენ ხომ ტრამვაიმ გაგიტანა!

პატარამ არ დაუჯერა და ტირილი დაიწყო. ეს მისმა დედამ გაიგონა და გარეთ გამოვიდა.

— რატომ ტირის?— იკითხა მან.

— აი ჩვენი ტრამვაი, უჩვენა ზურამ კიბეზე. მაგას ტრამვაიმ გადაუარა და მოკვდა, მერე კი წამოხტა.

ბავშვის დედას გაეცინა.

— შენ ყოჩაღი ვატმანი ხარ, დროზე გააჩერე ტრამვაი და ქალი გადარჩა.

— მართლა, მართლა! —სიხარულით შენიშნა ზურამ. —მე დროზე გავაჩერე და ქალი გადარჩა.

ბავშვებს ძალიან გაეხარდათ, გამხიარულდენ.

— ამხანაგებო, შედით ტრამვაიში, სადგურზე არ დაგვაგვიანდეს.

ყველანი სწრაფად ავიდენ. მხოლოდ ელიკო იდგა გაბუტული და ფეხს არ იცვლიდა.

— ადი ზემოთ, — ხმამაღლა უთხრა ზურამ.— ხომ ხედავ, ტრამვაიმ ჩამოიარა. თუ წელან გადარჩი, ახლა გაგიტანს.

ბავშვმა ახლა ტირილი დაიწყო. ამშვიდებდენ, მაგრამ ვერას გახდენ.

— თქვენისთანა მგზავრებთან კაცი ვერას გახდება! დეე, სხვამ წაგიყვანოთ!

ამ სიტყვით ზურა გულმოსული ავიდა კიბეზე. — ტრამვაი პარკში მიდის, ვატმანი კი შინ,—თქვა და თავისი ოთახისკენ წავიდა.

ბავშვები სახტად დარჩენ და გაკვირებით შეჰყურებდენ მიმავალ ზურას.

ნინო ტყეშელაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაგვიგაფხულდა

ვიშ, როგორ იღვიძებს მიძინებული ბუნება! როგორ უხარია სიცოცხლე ყოველ სულდგმულს! ხედავთ თუ არა, რომ მომაკვდავმა ჭიალუებმაც იწყეს ფუსფუსი?!. აბა, ერთი ამ ღელის პირებს გადაავლეთ თვალი, იაიას და ქორჩიოტას ყვავილებს რომ აუჭრელებია! ტყეებს, ამწვანებულ ტყეებს გახედეთ, რა ამაყად და მიმზიდველად გამოიყურებიან! აგერ, კვინცხის ჩირგვნალში ფაფუკბეწვიანი, ნაცრისფერი ბაჭია მოხტის. ყურები ზურგზე დაუწყვია და ისე თამამად გამოიყურება, თითქოს ამ ლამაზი ბუნების პატრონი მარტო თვითონ იყოს. შედგა. რაღაც მცენარის ნეკერს დაუწყო ტკვერა.

— თაა... თა... თაჰ! — მოესმა უცებ ვიღაცის ხმა, და გამოსროლილმა ქვამ ყურის ძირთან გაუბზუილა. ეს პატარა გიგლა იყო, პატარა მწყემსი, წვერებცანცარა თიკნები რომ გადმორეკა ამ დილაადრიან საძოვრად. ბაჭია დაფრთხა მისი ხმის გაგონებაზე და ცანცალ-ცანცალით ტყეს მიაშურა. გიგლა სიამოვნებით დაედევნებოდა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ცალიერი ხელით ვერ დაიჭერდა. ამიტომ ტყემდის თვალით მიაცილა, შემდეგ ქვაზე ჩამოჯდა, პატარა ლექსების წიგნი გადაშალა და კითხვა იწყო.

ჯერ ისევ დილაა. ჩვენს ბაღში გადაფეთქილ ყვავილებს დილის ნამი მარგალიტის საყურებივით ჩამოჰკიდებია. მალე მზე აიწევს ლილისფერ ცაზე და ეს მარგალიტის საყურეები ორთქლად იქცევა.

,,გუჰ — გუ! გუჰ — გუ! — ტყიდან გუგული იძახის. ის სულ სამი დღეა, რაც მოფრინდა, და თითქოს გლეხებს მინდვრად თესლის გატანის დრო მოაგონა. სოფლის გლეხკაცობა წამოიშალა და სამუშაო იარაღებს მიაშურა. აგერ,

სამი დღეა, რაც კოლექტიველმა ბიჭებმა მინდვრად ტრაქტორი ააგუგუნეს. გუგუნებს მანქანა და აშავებს მინდვრის ჭრელ ხალიჩებს. გუგუნებენ კოლექტიველი ბიჭებიც და უხარიათ, რომ კარგი სამუშაო ამინდი დაიჭირა.

„ჭიკ — ჭიკ... ჭიკ — ჭიკ... ჭიკ — ჭიკ!“ — კუდმაკრატელა ფრთოსანი ხანგამოშვებით ჩაუქროლებს ხოლმე აივანს, ალბათ, ბუდის ასაშენებელ ადგილს ეძებს! პატარა ოთარიკო, ბოსტანში მომუშავე, თეთრთავსაფრიან დედას აღარ ასვენებს:

— დედავ, დედიკო, ხედავ რა ლამაზია?!. ზურგი მაყვალს მიუგავს, გული ალუჩის ყვავილს, ყელზე კი ჩემსავით წითელი ლენტი აქვს შემოვლებული. ნეტავი ჩვენი სახლის ჭერზე გაიკეთებდეს ბუდეს!

მზემ აიწია. საცაა სადილობის ხანი მოატანს; ქალები წაუღებენ სადილს მინდვრად მომუშავე მამაკაცებს. ოთარიკოს დედაც წავა და თავის ბიჭუნასაც თან წაიყვანს. ოთარიკო სულ ექვსი წლისაა, მაგრამ ყველაფერი აინტერესებს.

ხან ერთ ბალახს ან ყვავილს მოგლეჯს, ხან მეორეს, დედასთან მიარბენიებს და ეუბნება: „ეს რა ბალახია, დედილო?“ ამ ყვავილს რაღა ჰქვია“? დედა უხსნის, და ოთარიკოს უკვირს, როგორ დაისწავლა დედამ ამდენი სახელი: ჩიტითავა, შავბალახა, ღელეღუნტა და ათასი სხვა.

შუადღემ მოატანა. თამრო, ლეო და ქეთინო სკოლიდან ბრუნდებიან. იცინიან, კისკისობენ და დროგამოშვებით საგაზაფხულო ლექსებს გაიმღერიან. სამივე ბეჯითი მოწაფეა, ერთმანეთს ეჯიბრებიან ფრიადების მიღებაში. ლეო ცელქი ბიჭია. მხოლოდ სულ დახტის, არ ისვენებს. აი, ახლაც რაღაცა წითელწინწკლებიანი მწერი შენიშნა გზისპირას მდგარ ტყემლის ყვავილზე. გაიქცა, აიყვანა, მარცხენა ხელისგულზე დაისვა და ამხანაგებს დაუძახა:

— გინდათ გაიგოთ ხვალ როგორი ამინდი იქნება?

თამრო და ქეთინო გაოცდენ:

— მერე, შენ რა იცი?!

— აი, თუ რა ვიცი, მოდით, ფრინა-ფრინა მარია დავიჭირე, თუ გაფრინდა, კარგი ამინდი იქნება, თუ არა და გაავდარდება. გაშალა ხელი და დაიწყო: „ფრინა-ფრინა მარია, ხვალ თუ კარგი დარია!.. ფრინა-ფრინა მარია, ხვალ თუ კარგი დარია!“

იმდენი უძახა, სანამ მწერი მართლა არ გაფრინდა. შემდეგ სიხარულით წამოიძახა: „კარგი ამინდი იქნება!“

— ჰო, ჰო, ჰო, ბიჭს დაგვიხედეთ! სულელო, კიდევ ბებიაშენს უჯერებ ზღაპრებს?!. ფრინა-ფრინა მარიამ რა იცის ამინდის! — მიაძახა ქეთინომ, და გზა გაგრძელეს.

ასე გადის დღეები. გაზაფხულია სოფლად. ყველას უხარია, ყველა შრომობს. შრომაც ხომ სასიხარულოა, ჩემო პატარა მეგობრებო. ჭიანჭველებიც შრომო-

ბენ, ფუსფუსებენ, საზრდოს იმზადებენ. ფუტკრებიც, ბზუილით რომ ყურებს გვიყრუებენ და ყვავილებიდან ტკბილ ნექტარს წუწნიან, ძლიერ მოყვარულნი არიან შრომის. მათ ეზარებათ ზარმაცი ამხანაგი და თუ ასეთი შენიშნეს, სკაში ალარ შეუშვებენ. წაესევიან და მოკლავენ. ადამიანებს კი შრომა მწერებზე მეტად უყვართ და აი, გახედეთ ახლა, ამ გაზაფხულის პირზე რა ამბავია სოფელში! კოლექტიველმა ბიჭებმა გადააშავეს ყამირი. ზარმაცი და უსაქმური ამხანაგები მათაც ძულთ და ახლოს არ გაიჭაჭანებენ.

საღამოობით ოქროს მზე სწრაფად ხუჭავს თვალებს, თითქოს იმიტომ, რომ დილით ისევ ადრიანად გაიღვიძოს და გაახაროს ქვეყანა. გაზაფხულია, კეკლუცი გაზაფხული! ო, რა კარგია ეს დრო!

გიორგი კალანდაძე

უცნო სტუმრები

პატარა და ქერა გოგონა თინა დედამ ოჯახის მცველად დატოვა. გოგონამ სიხარულით მიიღო დედის დავალება. როცა დედა ალვის ხეების ჩრდილს მიეფარა, თინა ბელელში შევარდა, დაუყოვნებლივ გამოიტანა ხორბალი და შუა ეზოში გაჩერდა.

მოკრიალებული ცა ლილისფრად ლივლივებდა.

თინიკომ მკვირცხლად შეათვალიერა სივრცე. მალე ისევ ეზოს გადახედა და გარშემო ხორბალი მიმოაბნია. თითქოს ამას ელოდენ პატარა ღრუტუნები, დაიწყეს ჭყვიტინი, მოედვენ ხორბალს, მაგრამ სისწრაფეში ქათმებმა და ინდაურებმა გადააჭარბეს.

ღრუტუნი და კრიახი, კაკანი და ღავღავი ერთმანეთში აირია.

თინიკო საზრდოს აწვდიდა მსუნაგებს. კარგად მოვლილი სუროსფერი ღრუტუნები ერთმანეთს ეჯახებოდენ... თინა კი კისკისებდა, ხელებს აქნევდა, ხტოდა, მაგრამ იგი უეცრად დადინჯდა, ჭიშკრისაკენ მიიხედა და დაიმორცხვა.

ეზოში ოთხი მამაკაცი შემოვიდა. ყველა უცნობი იყო. ერთს გრძელი თოკი ეჭირა, მეორეს რაღაც უცნაური იარაღი გაედო მხარზე, მესამესა და მეოთხეს საწერი ქაღალდები და ფანქრები მოემარჯვათ.

— მოდი, ბიძია, აქ, — დაუქნია ხელი ერთმა თინას. გოგონა სწრაფად შეეგება უცნობებს.

— ბიძიკო, თქვენ ღორები გყავთ?

თინას გაუკვირდა ასეთი შეკითხვა, მაგრამ არ დაიბნა და სწრაფად უპასუხა:

— კი, კი გვყავს, ძია.

უცნობებმა ალერსით ააავლეს თვალი ეზოში მოკუნტრუშე ღრუტუნებს.

— მამა ან დედაშენი არ არის შინ? — იკითხა კვლავ მეორემ.

— არ გახლავთ, ძია...

— ეხ! — ხელი ჩაიქნიეს უცნობებმა.

თინა გათამამდა.

— რა გნებავდათ?

ერთმა ქუდი მოიხადა, ოფლი მოიწმინდა და თითქო თავისთვის დაიწყო:

— ჩვენ შორიდან ვართ, პატარავ... შენ ჯერ გაგიჭირდება ჩვენი მუშაობის გაგება, მაგრამ მაინც გეტყვით. ჩვენ ტფილისიდან ვართ... დასავლეთ საქართველოს ღორების ჯიშები გვინდა შევისწავლოთ, განსაკუთრებით კარგი ჯიშები...

თინა ჩაფიქრდა, მაგრამ სწრაფად გამოერკვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჩვენ ძალიან კარგი ღორი გვყავს, ძია! — ამაყად წამოიძახა მან და სახე აუ ვარ-დისფრდა. — დავუხმო? მოვიყვანო?

— კი, მაგრამ შენ ხომ პატარა ხარ, ღორს როგორ მოიყვან?

თინა აფართქალდა, სახლისკენ გაიქცა. სამზარეულოდან თხილი გამოიტანა, ჭიშკართან მივიდა, მაგრამ დახეთ უბედურებას: ღრუტუნა დედაღორი არსად ჩანდა...

თინას შერცხვა: რას იტყოდენ სტუმრები?! მერე და რა ამაყად ამბობდა მოვიყვანო...

— კარგი, გოგონა, დაანებე თავი, — მიაძახეს თინას სტუმრებმა, რაკი დაინახეს, რომ ღორი არსად ჩანდა.

— რადგან არ არის, რა ვუყოთ ახლა... სხვაგან წავალთ.

— არა, ძია, არა, მე იმას ვნახავ... ახლო იქნება და წავალ...

თინა გორაკს შეჰყვა. მზე, დიდი და ოქროსფერი ბურთი, სწრაფად ეშვებოდა დასავლეთისაკენ და დედამიწას მწიფე ფორთოხლისფერი სხივებით ამკობდა. ტყეში აღმოსავლეთის ქარი ზუზუნებდა და წიწიბოს რეკავდა. თინა არ შეცდა. მან ფრთხილად მოიარა ტყის ნაპირი და მალალი წიფლის ქვეშ დაინახა დედაღორი, ჭრელი ღრუტუნა.

— ოი, შე მსუნაგო, შენა! — მიაყვირა თინამ ღორს, ხოლო უკანასკნელმა დაინახა რა ადამიანი, გაიკვირვა, რუხი ჯაგარი აიშალა და გრძელი კბილებიც აახრჭიალა. საშიში სანახავი იყო იგი ბავშვისათვის, მაგრამ აი მან იცნო პატარა თინიკო და დამშვიდდა, ყურები დაუშვა, ღრუტუნს მოჰყვა.

თინამ ღორი ეზოში ჩადენა. რა დაინახეს დედა პატარა ღრუტუნიებმა, გარს შემოეხვივნენ, როხროხსა და ღრუტუნს მოჰყვენ. დედაღორი გოლიათივით ჩადგა პატარა ღრუტუნიებს შორის.

— ნამდვილი ტყიური ღორის ჯიშისაა, — ჩაილაპარაკა ერთმა და მეორეს გადახედა. ამის გაზომვაც შეუძლებელია... მაკე ყოფილა და დაზიანდება.

— დაჭერა არ უნდა, ძია! — წამოიძახა თინამ. — ღრუტუნას ჩემი არ ეშინია.

— აბა სინჯე, პატარავ!

ღორი პირველად დაფრთხა, განიდან შეათვალიერა უცხო სტუმრები... არ მოეწონა... ჯაგარი აიყარა, მაგრამ მიუახლოვდა თუ არა თინა, ღორმა იცნო პატრონი, დამშვიდდა, გაინაბა. მალე ფრთხილად მიუახლოვდა ერთი უცნობთაგანი და ზომვა დაუწყო.



ვეებერთელა ანკეტა შეუვსეს.

დამშვიდებული ღრუტუნა ყურს უგდებდა უცნობთა საუბარს, ხოლო დამფრთხალი ღრუტუნიები ღობესთან მიმალულიყვნენ და იქიდან იჭყიტებოდენ.

— რამდენი წლისაა თქვენი ღორი? — ჰკითხა ბოლოს უცნობმა თინას.

— ოთხი წლის გახლავს, ძია...

უცნობმა ჩაიწერა.

რამდენჯერ ჰყავდა წელს გოჭები?

— ორჯერ, ძია.

— ეს ღორი დამახასიათებელი ჯიშისაა, ამიტომ ჩვენ მას სურათიც უნდა გადავუღოთ, — დაიწყე, — უთხრა ერთმა მეორეს. უკანასკნელმა სწრაფად მომართა აპარატი.

— ჩემო პატარავ, თქვენი ღორი ბევრი ნიშნით ტყიურ ღორს ჩამოჰგავს.. როცა გაიზრდები და მოიგონებ ამ შემთხვევას, შენ ნახავ მაგის სურათს განსაკუთრებულ წიგნში. გაიგებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მოგზაურობას, და პირადად შენს დახმარებას, რომელიც ჩვენ აღმოგვიჩინე. ახლა ის გვითხარი, რამდენი გოჭი ჰყავდა თქვენს ღორს უკანასკნელად.

— ცხრა გოჭის დედა გახლავს.

— არ შეგიძლია გოჭებს დაუხმო დედასთან?

თინა დატრიალდა. ღრუტუნიები საჭმელით მოიტყუა. ისინი ჯერ ფრთხილობდენ, მაგრამ მალე გათამამდენ. დედაღორის ირგვლივ დაიწყეს ფუსფუსი. ფოტოგრაფმა აპარატი მომართა, და თინა ჯერ კიდევ ღრუტუნიებთან იყო, რომ მათი სურათი უკვე „ნეგატივზე“ აისახა.

— შენ ჭკვიანი გოგონა ხარ, ჩემო პატარავ, — დაიწყო ბოლოს თინას სიტყვებითა და მკვირცხლი პასუხით მოხიბლულმა უცნობმა. — აბა მითხარი, თქვენებმა რისთვის არ გამოაკლეს არცერთი გოჭი?

თინამ ღიმილით ახედა საყვარელ სტუმრებს და სწრაფად მიუგო:

— არა, ძია... ღრუტუნას გოჭებს დედაჩემი კოლექტივს შეჰპირდა... ჯიშიერი ღორები უნდათ მოაშენონ...

— შენ რა იცი ეს?

— დედამ მითხრა. დედაჩემი ბრიგადირია, მან ყველაფერი იცის! — სიხარულით წამოიძახა პატარამ და ღრუტუნიები ეზოსაკენ გარეკა.

სტუმრებმა კარგი დახმარებისათვის და გარკვეული პასუხისათვის თინიკო დაასაჩუქრეს და ნასიამოვნები წავიდენ.

ია ჩხაიძე

გორგონტინა გოგონა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. რა ამბავია?
რა ბღავილია?
ალბათ ძროხების ერამ ნახირია!

2. მაგრამ მართლა ბოხა
არ გეგონოთ ძროხა!
გორგონტინა გოგონა
თურმე ტირის როგორა!
გულს იხეთქავს,
ღრიალებს:
ცრემლის ღვარში
ტრიალებს.
მთელ დღეს ასე ატარებს
ტირილსა და ბნედაში.
ჭრელი კაბა გასვარა
ნოლა ცხვირის წმენდაში—
— ი-ი-ییი!

3. გორგონტინა გოგონა
გამოვიდა გარეთ
და აქ კიდევ უფრო
შემოსძახა მწარეთ:
— არ მინდა კარში!
არ მომწონს ბალში!
შემიყვა სახლში
ბაბუ
— უ-უ-უუუ!

4. დაუყვავეს გოგონას
შეიყვანეს სახლში.
მაგრამ ჩქარა შესცურა,
ისევ ცრემლის ტბაში;
— აქ არ მომწონს, არა!
ბებო, ხელში ამიყვანე!
ჩქარე
— ა-ა-ااا!

5. გორგონტინას რძე მისცეს,
იმან მორთო ღრიალი:
— არ მინდა, არ დავლევ!
ეს ფინჯანი დიდია!
ყური ცუდათ ჰკიდია!
მომეცით სხვა
— ა-ა-ااا!

6. მისცეს ჭიქა გოგონას.
მაგრამ ფეხის ბრაკუნით
ჭიქას გახვდა ლაწუნი
და მიწაზე მოგორავს;
— არ მინდა სხვა!
მომეცით ჩაი
— ი-ი-ییი!

7. დააწვინეს გორგონტინა:
ის კი ისევ ახრჩობინდა:
ისევ გაისმის
ტირილი და ვიში:
— არ მინდა ლოგინში
— ი-ი-ییი!

8. ყველამ დასტოვა ბინა
და აქ მოირბინა.
კითხულობენ,
ჰკვირობენ:
— ვინ სტირის?
ვინ ბღავის
დილას და საღამოს?
რას ხედავს საამოს?

9. ასეთი ამბავი
ვისა სმენია?
ცოტა არ იყოს
მოსაწყენია!

10. ხედავენ, დგას გოგონა
სასაცილო როგორა!
ნოლა ცხვირი კოდენა
წითელ ჭარხლის ოდენა
მისი ჭრელი კაბანაც
სულ ცრემლებში დამბალა!
— ვაიმე
— ე-ე-ییე!
— დედი
ი-ი-ییი!

11. გორგონტინა გოგონა
შეხეთ, ტირის როგორა!
— შე ბღავანა ბოხა
ხომ არა ხარ ძროხა?
კმარა ლულის კიდება,
ოღი მოგეკიდება!

გადმოკეთებული რუსულიდან

ლევ. მეტრეველის-მიერ

ბავშთა შემოქმედება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტოს სიზმარი

სძინავს მიტოს, სიზმრად ხედავს:
ყურშა ძაღლი მორბის,
თან მოათრევს მიტოსათვის
ბევრ ტკბილეულს ტომრით.

ზის ეზოში მიტო ხის ქვეშ,
ყარაულობს ტკბილებს,
უხარია: გამოძღება,
გაილესავს კბილებს.

მირბის ყურშა, კვლავ დაბრუნდა,
მოაქვს ჩურჩხელები,
მანდარინი, კომში, ვაშლი,
ატმები და მსხლები.

მიტო ფიქრობს: „ვისგან მოაქვს,
ხილს ვინ აძლევს ამდენს?
იქნებ ჩემი ბებო გზავნის
კომშებს, მსხლებს და ატმებს?"

ყურშა ისევ დაბრუნდება,
მოაქვს ტომრით თხილი...
ხის ქვეშ მიტოს დაუგროვდა
ხილის დიდი ზვინი...

ასე ბევრჯერ განმეორდა,
მირბის-მორბის ყურშა
და იმდენი მოიტანა,
რომ ვერ ზიდავს მუშა.

მიტოც იწყებს მუშაობას:
სახლში შეაქვს ხილი,
თანაც ჭამს და თანაც ფიქრობს:
„კარგია და ტკბილი!"

ყურშას მოაქვს, მიტო ზიდავს,
სულ სავსე აქვს პირი...
გაიტენა მიტოს სახლი
ვაშლით, მსხლით და თხილით.

და როდესაც გაიღვიძა,
ხილი ვეღარ ნახა,
თან კი ფიქრობს: „საჩუქრები
დედამ შეინახა?"

შეეკითხა დედას: „დედა,
სად წაიღე ხილი,
ატამი და ტკბილეული
ან უზომო თხილი?"

დედა გრძნობს, რომ სიზმრად ნახა,
ეუბნება: „მიტო,
გენაცვალე, ჩემო ბიჭო,
ის სიზმარი იყო!"

მიტო მაინც იმეორებს:
„რა უყავი მსხალი?"
და პატარას ცრემლებითა
ამოევსო თვალი.

V ჯგ. მოწაფე **ლეილა თაბუკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიონის ბედი

რიონი მოდის ნელა და დინჯად,
მისი სიწყნარე აკვირებს მნახველს,
სძლიეს გმირებმა, რკინით, ბეტონით
და შეუცვალეს მთლიანად სახე.
მდინარე ეტყვის შავზღვას მუდარით:
საით იქნება აწ ჩემი ბოლო.
ზღვა უპასუხებს: ნაბადისაკენ,[1])
შენ იქ ეძიე სავალი მხოლოდ.
გადაგისვრიან სულ მალე სხვა გზით
და ეს ამბავი ჩემო რად გიკვირს;
როგორც ისროლეს ბოლშევიკებმა—
მენშევიკები შავი ზღვის იქით.

ბოჩ. მელიქია.

ფოთის მე-7 კლასის მოწაფე

1) ნაბადა — სოფელია შავიზღვის პირად, ფოთთან.

გლეხის სიმღერა

არ დამჭირდება კალოზე
კევრზე დადგომა, ტრიალი,
ნიშა ნიკორას ძახილი,
წამდაწამ შოლტის ტრიალი,
ალარ გავთიბავ ერთ დღისას
მე რამდენიმე დღეშია,
არ დამჭირდება ნამგალი,
რომ მოვიღუნო წელშია;
მოვიდა სოფლად ტრაქტორი,
გადააშავა ველიო,
ბიჭებო, მარჯვედ იყავით,
მივცეთ ერთმანეთს ხელიო!

მოწაფე **ოთარ კანდელაკი.**

რედაქციის შენიშვნები პატარა ავტორების საყურადღებოდ

ჩვენი ჟურნალი ბავშვთა შემოქმედებას დიდ ყურადღებას აქცევს. იბეჭდება პატარა ავტორები. ვისაც რედაქციაში მოსვლის საშუალება არა აქვს, რედაქცია პასუხობს წერილობით.

ამიერიდან კი მათ ეთმობათ ცალკე გვერდი ჩვენს ჟურნალში. რედაქციას მოდის აუარებელი მასალები (ლექსები, მოთხრობები, რებუსები და მრავალი გასართობები) ბავშვებიდან.

ამ მასალებიდან ჩვენ ვარჩევთ საუკეთესოებს და ვბეჭდავთ რიგრიგობით ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

პატარა შემოქმედებმა უნდა იცოდენ ყოველთვის, რომ ჩვენთვის მასალა საინტერესოა იმ სახით, როგორც ის დაუწერია ავტორს და არა რედაქციის მიერ შესწორებული. ამ მოსაზრებით მასალა კარგად უნდა იქნეს დაწერილი—დამუშავებული, წინააღმდეგ შემთხვევაში თუკი რედაქციამ გადააკეთა მასალა მთლიანად, მას ღირებულება და მნიშვნელობა ეკარგება. ასეთი მასალის დაბეჭდვაც უაზრობა იქნება და სრულიად უსაფუძლოდ რედაქცია დაიმსახურებს პატარა ავტორების გულისწყრომას.

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე უკვე გამოვამჟღავნეთ მთელი რიგი პატარა ავტორებისა, ეს რა თქმა უნდა, მათ არ აძლევთ უფლებას, რომ ექნეთ დიდი წარმოდგენა თავის თავზე, არამედ ავალებთ მათ უფრო ნაყოფიერად და პასუხისმგებლობით იმუშაონ მომავალი დიდი ავტორობისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასართობები

მცურავი გედი და კურდღელი

ერთ ტაშტში ბლომად ესხა წყალი და შიგ ცურაობდა თეთრი გედი.

ტაშტის მახლობლად იჯდა თეთრი კურდღელი და ნაღვლიანად მისჩერებოდა ამაყ გედს, თითქოს უნდოდა ეთქვა: ეჰ, ნეტავი შენ, რომ ასეთი ცურვა იცი, მე კი ეს არ მეხერხებაო.

რა იცოდა საბრალო კურდღელმა, რომ ის და გედი ძმები იყვნენ: ისინი ერთი ჭრელი დედლის ორი კვერცხისაგან გააკეთეს.

როგორ?

ბავშვები დიდ ფაციფუცში იყვნენ.

— დედა, ორი კვერცხი მოგვეცი რა იქნება, ჰა?!

— რად გინდათ, ბიჭო კვერცხები?

— გვინდა, დედა, გვინდა! ისეთ საინტერესო რამეებს გავაკეთებთ, რომ გაგიკვირდება, — ამბობდა პატარა სოსო.

— თაფლის სანთელი ხომ გაქვთ? — იკითხა მზიამ.

— გვაქვს, გვაქვს! — წამოიძახა რეზიკომ.

— აჰა, ბავშვებო, ორი კვერცხი. ვნახოთ, რას გააკეთებთ, — თქვა დედამ და მაგიდაზე დადო კვერცხები.

— ციალა, ერთი ქინძისთავი მომეცი, — სთხოვა სოსომ, აიღო ერთი უმი კვერცხი და თავსა და ბოლოში ქინძისთავით გახვრიტა.

— ახლა ჩაბერე, ბიჭო, ჩაბერე! — ვერ ისვენებდა რეზიკო.

სოსომ მართლაც ჩაბერა და კვერცხიდან სულ გამოაქცია, რაც შიგ იყო.

— ახლა სანთლით ამოვგლისოთ ორივე ნახვრეტი, — ამბობს ციალა.

— კისერი, თავი და ფეხებიც სანთლისგან გავაკეთოთ...

აი, გედი უკვე მზად არის.

ჩაუშვეს წყალში, მაგრამ კარგად არ ზის... რაღაც აკლია...

— რა უნდა კიდევ?



დაფიქრდენ ბავშვები...

ბოლოს სოსომ მოიფიქრა: მან სანთლის მოზრდილი ნაჭერი ამოაკრა გედს ფეხებს შუა.

მაშინ გედი კოხტად ჩაჯდა წყალში და ცურაობა დაიწყო.

— ახლა კურდღელიც გავაკეთოთ — წამოიძახა რეზომ.

მათი კურდღელიც მზად იყო.

მისჩერებოდა კურდღელი გედს და ნატრობდა: ნეტავ მეც შემეძლოს ცურვაო, თვითონ კი არცერთხელ არ უსინჯავს, ვინ იცის იქნებ იმასაც მოეხერხებია ცურვა.

ძმები იყვნენ გედი და კურდღელი, ერთი ჭრელი დედის შვილები, მაგრამ მათ ეს არ იცოდენ.

ბავშვებო, თქვენც ხომ გეშოვებათ კვერცხი...

შ. თაბ-ლი.

ყურეგი ფეხეგზე

მთელი ზაფხული და შემოდგომა ისმის დაუცხრომელი ჭრიჭინი კუტიკალიისა.

— აჭრიჭინდა კუტიკალია, თიბვის დროა — ამბობენ სოფელში და მართლაც ატეხილი და დაუბოლავებელი ჭრიჭინი სწორედ მაშინ ასტყდება ხოლმე, როდესაც მინდვრად ყველა ყვავილი იშლება.

კუტკალიას ყველა იცნობს, მაგრამ ყვალამ არ იცის მათი ცხოვრება.

„მღერიან" მხოლოდ მოზრდილნი. სასიმღერო აპარატი კუტკალიებს ასე აქვთ მოწყობილი: ერთ ფრთაზე დახერხილი კბილებიანი სიფრიფანა აქვს, მეორეზე მაგარი კუნთი განსაკუთრებულ გამაძლიერებელ ნახვრეტით, რომელსაც გადაჭიმული თხელი ტყავი აქვს.

ხმაური ისმის ერთი ფრთის შეხებით მეორე ფრთასთან.

ხოლო ამ სიმღერის გასაგონად კი საჭიროა ყურები.

ყურები მათ მართლაც აქვთ, მხოლოდ კუტიკალიის წინა ფეხებზე, კარგად მოსჩანს მოგრძო ნახვრეტი, რომელსაც შიგნით ისეთივე მოწყობილება აქვს, როგორც ცხოველების ყურს. ასეთივე სასიმღერო და სმენის აპარატი აქვს ჭრიჭინას, რომელიც სახლის კედლებში ცხოვრობს.

უკანასკნელს „ყური" მოთავსებული აქვს მუცელზე. მისი სიმღერა კი ძალიან ჰგავს ვიოლონზე (სკრიპკა) დაკვრას. აი, როგორ?

მისი უკანა გრძელი ფეხი ეხება ფრთას და ამ შეხების დროს ისმის ხმაურობა.

თამარ ჩერქეზიშვილი.

ბუნგლიას ბინი

ძია ვასომ პატარა ნოდარი ცირკში წაიყვანა. ნოდარი სახლში ძალზე მხიარული დაბრუნდა და მის გონებას არ სცილდებოდა იქ მოთამაშე ჭკვიანი ძაღლები. რას არ აკეთებდენ ისინი: უკანა ფეხებზე დგებოდენ, ესა თუ ის საგანი მიქონდათ პატრონთან და კიდევ სხვა ბევრ რამეებს აკეთებდენ. პატარა ნოდარმა გადაწყვიტა თავისი ბუნგლიასაც ასწავლოს უკანა ფეხებზე დგომა, ხელის ჩამორთმევა და ქუდის მოტანა.

დაიწყო ნოდარიმ ბუნგლიას გაწრთვნა. დააყენებს ბუნგლიას უკანა ფეხებზე, ის კი ურჩობს, აუსვამს ენას ცხვირზე და გაიქცევა. ჯავრობს პატარა ნოდარი, ურტყამს ურჩ მოწაფეს, მაგრამ მაინც არაფერი

გამოდის. ძია ვასოც დასცინის არ ვარგიხარ, არ იცი ძაღლს როგორ უნდა მოექცე, თორემ ძაღლი ძაან ჭკვიანი ცხოველიაო.

ერთ დღეს ბავშვები საბანაოდ წავიდნენ. მათ ნოდარიც გაყვა და თან ბუნგლია წაიყვანა, იქნებ ცურაობა ვასწავლოვო. გაიხადა ნოდარიმ, ჩავიდა წყალში, უყვირის ბუნგლიასაც, მაგრამ იგი ყურადღებას არ აქცევს. ჩაიყვანა ძალით, აფხაკურდა ბუნგლია, ამოვარდა ზევით და დაიწყო ნოდარის ტანსაცმელზე გორაობა. ეს კიდევ არაფერი სტაცა ნოდარის შარვალს პირი და სახლისკენ გააქცია, ამოვარდა ნოდარი წყლიდან და უყვირის:

— ბუნგლია, ბუნგლია მობრუნდიო, ბუნგლია, მაგრამ ბუნგლია მას ყურს არ უგდებს, გარბის რაც ძალი და ღონე აქვს. რაღა უნდა ექნა ნოდარს. მას არაფრად მოსწონდა ბუნგლიას ოინი და იძულებული იყო შინ ბლუზის ამარა წასულიყო. ძია ვასო კი სიცილით შეხვდა პატარა დამარცხებულ მასწავლებელს.

კ. დევდარიანი.

რა ფრინველია?

(**გამოცანა**)

როცა მოდის გაზაფხული
და ბუნება კვლავ ახლდება,
ტყე და ველი გაფურჩქვნილი
მზის სხივებით იქარგება.
ამ დროს ისევ თბილ ქვეყნიდან
ჩვენსკენ მოფრენს ერთი ჩიტი, —
უვნებელი ფრინველია,
უნდა ითქვას ჭეშმარიტი.
მაგრამ მასაც ერთი ზნე აქვს
და მიტომ სძულთ ის წვრილ ჩიტებს:
მათ ბუდეში ჩუმად კვერცხს სდებს
და სხვის ხარჯზედ ზრდის თვის შვილებს.
თუ რომ სწორად გამოიცნობთ
ამ პატარა გამოცანას,
მე შემდეგი ნომრისათვის
კვლავ მოგიძღვნით ამისთანას.

ალ. საჩინოელი

სათამაშო გემი

გამოჭერით გემის ტანი ხისგან ან საცობისგან. ანძებად წუმწუმა აიღეთ, იალქნები ქაღალდის იყოს, კომლი — ბამბის.

— მეტი არაფერი უნდა?

— დაუკვირდით და თქვენც ისე გააკეთეთ, როგორც სურათზეა.

— ასეთ სათამაშო გემს ცურაობა შეუძლია?

— რატომაც არა, მხოლოდ ლურსმნები კი უნდა მიაჭედოთ ქვევიდან, რომ კარგად ჩაჯდეს წყალში.

გააკეთეთ რამდენიმე გემი და ჩაუშვით წყალში — თქვენ მთელი ფლოტი გექნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა კარგი წეროებია

ბავშვები დაჩერებოდენ სურათს და ამბობდენ:

— დედა, რა კარგი წეროებია!

— ეს დიდი დედაა, პატარა კი მისი შვილია...

— ვაი, რა კარგი ნისკარტი აქვთ...

— რისგანაა, თუ იცით, ბავშვებო, ნისკარტი გაკეთებული?

— არ ვიცით...

— ბატის, ინდოურის ან სხვა ფრთისაგან.

— თავი?

— საცობისაგან.

– საცობი რა არის?

— რა არის და ის, რასაც რუსულად „პრობკას“ ეძახიან.

— ქინძისთავი კისრად გამოიყენეთ, მავთული ფეხებად, ტანიც საცობის იქნება, კვერცხის ფორმის, საყრდენიც საცობის — და წეროებიც მზად იქნება.

— აბა ვსინჯოთ, ვსინჯოთ! — აყრიამულდენ ბავშვები...

— სინჯეთ, მაგრამ ფრთხილად: ხელი არ გაიჭრათ.

შ. თ.

კვადრატები



სურათზე წარმოდგენილია ხუთი კვადრატი, რომელიც გაკეთებულია ასანთის ღეროებისაგან. სამი ცალი ასანთის ღერი რომ გამოვაცალოთ, დაგვრჩება სამი კვადრატი. აბა, ამოხსენით?

წარმოდგენილია **კლ. თევზაძის-მიერ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიტყვები ნ. დიფნარგლის

მუსიკა ო. შავერზაშვილის



ერთი შეხე: იქ რაბდენი
ბელურა და შაშვებია!
ზოგი ჯდება, ზოგი ფრინავს,
შეხე კარგათ რას შვრებიან?
მივეპაროთ, მოუაროთ...
დაუმიზნოთ შვილდ-ისარი...
ოჰო—ჰო,—ჰო რა კარგათ თოვს,
როგორ თოვლით მოქრის ქარი,
აბა, ჩქარა, ყმაწვილებო,
წამო, გიგო, წამო თომა,
შეხე, შეხე რანაირად
წამობარდნა, წამოთოვა.

სარედაქციო კოლეგია: ლიდა გასვიანი, გიორგი კაჭახიძე (პ/მგ. რედაქტორი), ან. ლვინიაშვილი, შალვა თაბუკაშვილი, ცქვიტი, ნად. საბახტარაშვილი, სანდრო ულენტი (პ/მგ. მდივანი).

ფასი 75 კაპ.

5 17

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ОКТОМБРЕЛИ № 3

Госиздат Грузии Тифлис, 1935 г.